

დაზოგვის მსოფლიო დღე 2025 & ლარის 30 წლის იუბილე

ღია გაკვეთილი V-VII კლასებისთვის

ნაწილი 1: პრეზენტაცია (20 წთ)

[იხ. PPT: WSD 2025_პრეზენტაცია_V-VII კლასი

ფიზიკურად წაიღეთ 5 ლარიანი]

სლაიდი 1:

გამარჯობა, მე --- ვარ, --- ბანკის თანამშრომელი და დღეს ფინედუს დესპანის როლში გესტუმრეთ, რათა ფულზე გესაუბროთ.

- დესპანი იცით რას ნიშნავს? (მოსწავლეები პასუხობენ)
- და ფინედუ თუ გაგიგიათ? (მოსწავლეები პასუხობენ)

ფინედუ ეროვნული ბანკის განათლების პლატფორმაა, რომელიც ფულის მართვის საკითხებზე საზოგადოებას, მათ შორის ბავშვებსა და მოზარდებს საინტერესო გზებით აწვდის ინფორმაციას.

ჩვენი დღევანდელი გაკვეთილიც ასეთი იქნება: ცოტა ხანს ვისაუბროთ, შემდეგ კი ერთი თამაში ვითამაშოთ და ერთად გავიხსენოთ და ვისწავლოთ ფინანსური ტერმინები. მზად ხართ?

სლაიდი 2:

ახლა გთხოვთ ხელის აწევით მიჰსაუბროთ:

- ვის სურს ჰქონდეს ფულის მართვის სუპერძალა?
- ვინ იცით, ახლა ზუსტად რამდენი ფული გაქვთ?
- ვინ იცით ზუსტად, ბოლო 1 კვირის განმავლობაში რაში დახარჯეთ ფული?
- ვის გაქვთ მიზანი?
- ვისაც გაქვთ მიზანი, თუ აგროვებთ ფულს ამ მიზნის მისაღწევად? (თითოეულ შემთხვევაში მოსწავლეები სწევენ ხელს)

მშვენიერია! ეს სწორედ ის საკითხებია, რაზეც დღეს ვისაუბრებთ.

ახლა, წარმოიდგინეთ სიტუაცია: ფეხბურთის ბურთი ან ყურსასმენი გინდათ და მშობლებს სთხოვთ ფულს ამისთვის, ისინი კი გეუბნებიან, რომ ფული ციდან არ ცვივა და ყოველთვის ყველაფერს ვერ გიყიდიათ. ეს მართლაც ასეა - ფულს ჯერ გამომუშავება სჭირდება და შემდეგ ჰკვიანურად მართვა. თქვენი ეს სურვილები კი შეგიძლიათ ფინანსურ მიზნებად აქციოთ.

სლაიდი 3:

ახლა 1 წუთით თვალები დახუკეთ და წარმოიდგინეთ 1 ფინანსური მიზანი. მაგალითად, მე მინდა დავესწრო ჩემი საყვარელი ჯგუფის კონცერტს და ვიცი რამდენი ფული

დამჭირდება ამისთვის. თქვენ რისი მიღწევა გინდათ ყველაზე მეტად სანამ მომდევნო კლასში გადახვალთ? რა ღირს ეს მიზანი?

მიზანი გვამღებს მიმართულებას და მოტივაციას, ენერგიას, **დავზოგოთ**, ანუ დავაგროვოთ, სამომავლოდ შევინახოთ ჩვენი ფულის ნაწილი. ეს ფული შეიძლება იყოს ოჯახისგან მოცემული ყოველდღიური ჯიბის ფული, დაბადების დღეზე ნაჩუქარი ფული, პრიზის სახით მიღებული ფული, შეიძლება თქვენი რამე პატარა ბიზნესიც გქონდეთ და აქედან მიღებული ფულიც.

სლაიდი 4:

თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ფულის დაზოგვა, დაგროვება? მოდი, ამის გასარკვევად პატარა თამაში ვითამაშოთ, მე დავიწყებ წინადადებას, თქვენ კი აიწიეთ ხელი და დაასრულეთ ეს წინადადება თქვენი შეხედულებით. დავიწყოთ?

- ადამიანები ფულს ხშირად იმისთვის ზოგავენ რომ... (რამდენიმე მოსწავლე ასრულებს წინადადებებს)
- მე ფული იმისთვის შემოგროვებია, რომ...
- დანაზოგი შეიძლება იმაში დამეხმაროს რომ...
- როცა ადამიანს დანაზოგი არ აქვს, შესაძლოა...

სლაიდი 5:

რომ შევაჯამოთ, დაზოგვა გვებმარება იმაში, რომ მივალწიოთ ჩვენს ფინანსურ მიზნებს - ავიხდინოთ პატარა სურვილები, ან დიდი ოცნებები, მოვემზადოთ მომავლისთვის. დანაზოგი ასევე არის ჩვენი ფინანსური დაცულობაც, რადგან გვებმარება მომზადებული შევხვდეთ გაუთვალისწინებელ მოვლენებს. მაგალითად, მოულოდნელად გაგიფუჭდათ ტელეფონი? თუ გაქვთ დანაზოგი, შეძლებთ გადაიხადოთ მისი შეკეთების ფული. ან მაგალითად, თქვენი საყვარელი გმირის გამოსახულებიანი მაისური გამოვიდა? თუ გაქვთ დანაზოგი, შეძლებთ თქვენ თვითონ იყიდოთ.

სლაიდი 6:

როგორ შეიძლება დავზოგოთ მეტი? ახლა გეტყვით 3 მარტივ ნაბიჯს, რომელიც ფულის ჭკვიანურად მართვაში დაგებმარებათ.

პირველი: განასხვავეთ სურვილი და საჭიროება!

ყველა იმ ნივთს, რაც გვინდა გვექონდეს, მაგრამ აუცილებელი არ არის, ჩვენს **სურვილებს** ვუწოდებთ, მაგალითად, შოკოლადი, პიცა, თამაშები - ეს სურვილებია. ის ნივთები კი რომლის გარეშეც გაგვიჭირდება არსებობა - **საჭიროებაა**. მაგალითად, ჯანსაღი საკვები, წიგნები, ტანისამოსი - ეს ყველაფერი საჭიროებაა.

- თქვენი აზრით, რა არის ჭკვიანური ხარჯვა? როდესაც უფრო მეტს ვხარჯავთ საჭიროებაზე თუ სურვილზე? (მოსწავლეები პასუხობენ).

სწორია, გონივრულია თუ ჩვენი ფულის დიდ ნაწილს საჭიროებაზე დავხარჯავთ, თუმცა არც სურვილებს დავივიწყებთ, და აუცილებლად დავზოგავთ სულ მცირედს მაინც. მაგალითად, კვირაში ერთხელ ვიყიდით სასურველ სასუსნავს და დანარჩენს დავზოგავთ.

და ახლა მივდივართ მეორე ნაბიჯამდე, როგორ გადავანაწილოთ ჩვენი ფული ისე, რომ ამ ყველაფერზე გვეყოს.

სლაიდი 7:

მეორე: დაზოგვის ფორმულა - თქვენი ფულის ნახევარი მიდის საჭიროებებზე, მეორე ნახევარიდან უფრო მეტი ნაწილი სურვილებზე და ნაკლები ნაწილი - დანაზოგებზე. მაგალითად, თუ გვაქვს 10 ლარი, 5 ლარი დავხარჯოთ საჭიროებებზე, 3 სურვილებზე, 2 კი გადავდოთ დანაზოგზე.

სლაიდი 8:

და მესამე: გახდით თქვენი ფულის დეტექტივი - 1 კვირის განმავლობაში ჩაიწერეთ, რაში და რამდენი დახარჯეთ. კვირის ბოლოს ნახავთ - სად მიდის თქვენი ფული და რამდენი შეიძლება დაგეზოგათ.

სლაიდი 9:

ფულის დაზოგვა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაზოგვის მსოფლიო დღეც კი არსებობს - 31 ოქტომბერი. ის პირველად 101 წლის წინ, იტალიის ქალაქ მილანში დაარსდა და დღესდღეობით მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აღნიშნავს. საქართველოში კი უკვე მე-14 წელია, რაც აღვნიშნავთ. დაზოგვის დღის მიზანია როგორც ბავშვებში, ისე დიდებშიც ავამაღლოთ ცოდნა ფულის დაზოგვის სარგებლიანობისა და პირადი ფინანსების ჭკვიანურად მართვის შესახებ. ჩვენი ეს დღევანდელი შეხვედრაც სწორედ დაზოგვის დღისადმი მიძღვნილი კამპანიის ფარგლებში მიმდინარეობს. დაზოგვის დღეს საქართველოში თავისი სიმბოლოც ჰყავს.

- იცით რა არის და რა ქვია ამ სიმბოლოს? (მოსწავლეები პასუხობენ)

[პასუხის შემდეგ გამოიტანეთ სლაიდზე გროვიას გამოსახულება]. დიახ, ალბათ უკვე შენიშნავდით ჩვენს სლაიდებზე - საქართველოში დაზოგვის სიმბოლო ჭიანჭველა „გროვია“ გახლავთ.

- კარგი, ახლა გვაქვს დაზოგილი ფული. სად შეიძლება შევინახოთ? სახლში - საფულეში? ბაღიშის ქვეშ? წიგნებში? თუ სად? ბანკში? (მოსწავლეებიც პასუხობენ)

სლაიდი 10:

- თქვენი აზრით, რატომ შეიძლება ჯობდეს დანაზოგის სახლში შენახვა? (მოსწავლეები პასუხობენ)
- თქვენი აზრით, რატომ შეიძლება ჯობდეს დანაზოგის ბანკში შენახვა? (მოსწავლეები პასუხობენ)

დანაზოგი შეიძლება სახლში, ყულაბაშიც შევინახოთ, რადგან ყველასთვის მოსახერხებელია და მარტივია მისი გაკეთება. მაგრამ ეს ფული შეიძლება მოგვპარონ, დაგვეკარგოს, ან ჩვენ თვითონვე დავხარჯოთ. **ბანკში** ჩვენს ფულს უფრო უსაფრთხოდ შეინახავენ. თან როცა ბანკში ფული **დეპოზიტზე**, ანუ ანაბარზე გვაქვს შენახული, ბანკი მასზე დამატებით ფულსაც გვიხდის.

სლაიდი 11:

ახლა მოდი, იმაზე ვისაუბროთ, რა არის ბანკი და რატომ გვადლევს ჩვენს დანაზოგზე დამატებით ფულს, ანუ **საპროცენტო სარგებელს**. ბანკი დამზოგველებსა და მსესხებლებს ერთმანეთთან აკავშირებს: ანუ როცა ჩვენ ფულს ბანკში ვინახავთ, ბანკი ამ ფულს სხვა ადამიანებზე ან კომპანიებზე გაასესხებს და ახლა თვითონ მიიღებს მათგან დამატებით უფრო მეტ ფულს, ანუ მეტ საპროცენტო სარგებელს. ბანკს სწორედ აქედან რჩება მოგება.

- *კიდევ რა მომსახურებას გვთავაზობს ბანკი? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სლაიდი 12:

დიახ, ბანკი დამატებით სხვა ფინანსურ ანუ ფულთან დაკავშირებულ მომსახურებებსაც გვთავაზობს, მოსწავლეებს შეგიძლიათ მშობლების თანხმობით გახსნათ საბანკო ბარათი, რომელსაც თქვენი ფულის განკარგვისთვის გამოიყენებთ, დეპოზიტი ან ელექტრონული ყულაბა - სადაც ფულს დააგროვებთ, მოზაილ ბანკი - რომლითაც თქვენს ფულს ონლაინ გააკონტროლებთ.

მაგრამ, სანამ რომელიმე ბანკის მომსახურებას შეარჩევდეთ, მნიშვნელოვანია ყველგან მოიკითხოთ პირობები: რა საკომისიო გექნებათ გადასახდელი? რა სარგებელი ემატება თქვენს დეპოზიტს? სხვა რა შეთავაზებები აქვთ? თუ არის თქვენს სიახლოვეს ამ ბანკის ფილიალი, ბანკომატი? და ერთმანეთს შეადაროთ სხვადასხვა ბანკის შემოთავაზება.

- *კარგი, ახლა კიდევ ერთი კითხვა: იცით, ვინ აკონტროლებს ბანკებს და ვინ ზრუნავს, რომ თქვენი ფული ბანკში დაცული იყოს? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სწორი პასუხია საქართველოს ეროვნული ბანკი. ის ქვეყნის მთავარი, ცენტრალური ბანკია, რომელიც სხვა ბანკებს „მსაჯობს“, რადგან როგორც სპორტში „მსაჯი“, ისე უყურებს რამდენად იცავენ თამაშის წესებს სხვა ბანკები და რამდენად გამართულად მუშაობენ.

- *კიდევ რას აკეთებს ეროვნული ბანკი? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სლაიდი 13:

ეროვნული ბანკი ზრუნავს ფასების სტაბილურობაზე. ცოტა რთული სახელია, მაგრამ აგიხსნით: ეს არ ნიშნავს, რომ ყველა სათამაშო 20 თეთრი უნდა ღირდეს, ან ყველა შოკოლადი რიგდებოდეს უფასოდ - ეროვნული ბანკი ზრუნავს, რომ ფასები პროდუქტებზე - შოკოლადი იქნება ეს თუ მაისური, საყვარელი მულტფილმის გმირის გამოსახულებით - არ იცვლებოდეს ძალიან ხშირად და ძალიან: მაგალითად, დღეს ღირდეს 2 ლარი, ხვალ 20, ზეგ 3 და ასე შემდეგ.

კიდევ ერთი, რითაც ეროვნული ბანკი ფულს უკავშირდება ისაა, რომ ის ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელსაც აქვს ქაღალდის ფულისა და მონეტების გამოშვების უფლება. ქაღალდის ფულს ბანკნოტები ეწოდება.

- *რა ჰქვია ქართულ ფულს, ანუ საქართველოს ეროვნულ ვალუტას? (მოსწავლეები პასუხობენ)*

სლაიდი 14:

დიახ, "ლარი" ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს განძს, ქონებას.

- *თუ იცით, პირველად როდის გაჩნდა ლარი?*

სლაიდი 15:

ეროვნული ვალუტა ლარი - პირველად 1995 წელს გამოვიდა მიმოქცევაში და ამ წლის 2 ოქტომბრიდან გადახდის ერთადერთ საშუალებად გამოცხადდა. წელს ლარს 30 წლის იუბილე აქვს.

სლაიდი 16:

მოდით ახლა უფრო კარგად გავიცნოთ ლარის ბანკნოტები. ლარს, ისევე როგორც სხვა ფულს დამცავი ნიშნები აქვს, რომელიც მას ყალბი ფულისგან განასხვავებს. ზოგიერთი დამცავი ნიშნის დანახვა მხოლოდ სპეციალური ხელსაწყოებით არის შესაძლებელი, ზოგიერთი კი მოსახლეობისთვის არის განკუთვნილი და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

- *თუ გსმენიათ რომელიმე დამცავი ნიშნის შესახებ? რომელი? (მოსწავლეები პასუხობენ)*

[შეგიძლიათ წაიღოთ რომელიმე ბანკნოტი, მაგ. 5 ლარიანი და მის მაგალითზე აჩვენოთ რამდენიმე დამცავი ნიშანი, ან უბრალოდ გამოიყენოთ პრეზენტაცია]

ა) თუ ამ ბანკნოტს გახედავთ გამჭოლ შუქზე,

- დაინახავთ წყლის ნიშანს. მაგალითად, ამ 5 ლარიანს თუ გახედავთ გამჭოლ შუქზე, დაინახავთ ივანე ჯავახიშვილის პორტრეტს.
- ბანკნოტის უკანა მხარეს არის წყვეტილი ვერტიკალური ძაფი, რომელიც გამჭოლ შუქზე გახედვისას ერთიანდება და დახრისას იცვლის ფერს.

ბ) თუ ბანკნოტს სხვადასხვა კუთხით დახრით,

- დაინახავთ, რომ ვერცხლისფერ ჰოლოგრამაზე დატანილი გამოსახულებები შეიცვლის ფერს და აქვს ცვალებადი ეფექტი.

გ) თუ ბანკნოტს ხელით შეეხებით,

- შეიგრძნობთ საღებავის რელიეფურ ფენას, მაგალითად, პორტრეტთან.
- ასევე ბანკნოტის კიდეებზე დატანილია ხაზები სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებისთვის, რომელიც შეიგრძნობა შეხებისას და იძლევა ნომინალის აღქმის შესაძლებლობას.

სლაიდი 17:

ახლა უკვე იცით, რა გაძლევთ ფულის მართვის სუპერ ძალას! იცით, როგორ დაისახოთ ფინანსური მიზანი, როგორ გაანაწილოთ და დაზოგოთ ფული, სად შეინახოთ დანაზოგი, როგორ მუშაობს საფინანსო სისტემა!

- ახლა კი, ასწიეთ ხელი, თუ ხართ მზად 21 დღიანი გამოწვევა ანუ „ჩელენჯი“ მოუწყოთ საკუთარ თავს

1-ელ კვირას: ყოველდღე გააკეთეთ ჩანაწერები, რაში რამდენ ფულს დახარჯავთ

მე-2 კვირას: დაიწყეთ 5-3-2 ფორმულის გამოყენება

მე-3 კვირას: ნახეთ, რამდენი დაზოგეთ და შეადგინეთ გეგმა, რამდენს დაამატებთ ამ დანაზოგს, რა სიხშირით და რას იყიდით!

(მოსწავლეები სწევენ ხელს)

ძალიან კარგი! 21 დღის შემდეგ თქვენ ზუსტად გეცოდინებათ, რაში იხარჯება თქვენი ფული, გეჩვენებათ პირველი დანაზოგი, გეჩვენებათ გეგმა რამდენი დაზოგით მიზნის მისაღწევად! ფინანსური დამოუკიდებლობა ნელნელა, ასეთი პატარა ნაბიჯებით იწყება!

მოდით ახლა, თამაში ვითამაშოთ და ფინანსური ტერმინებიც ნელნელა ვისწავლოთ, რაც ვისწავლეთ კი - ისინი გავიმეოროთ.

➤ *მზად ხართ? (მოსწავლეები პასუხობენ და გადავდივართ მეორე ნაწილზე)*

ნაწილი 2: თამაში - ფინანსური ტერმინების ბინგო - ინსტრუქცია (45 წთ)

[იხ. PDF: ბინგო - ფინანსური ტერმინები.

ფიზიკურად წაიღეთ ამობეჭდილი მზა ბინგო და კითხვები]

ინსტრუქცია:

- კლასი გაყავით 4 გუნდად. უმჯობესია, თუ მასწავლებელს წინასწარ სთხოვთ, რომ გაკვეთილის დღეს უკვე გაყოფილი დაგახვედრონ გუნდები.
- 4 გუნდიდან გამოიყვანეთ თითო მოსწავლე და სთხოვეთ 4 ბინგოს დაფიდან 1-1 აიღონ.

სასაუბრო ტექსტი:

➤ გითამაშიათ ოდესმე ბინგო? (მოსწავლეები პასუხობენ)

თუ კი, ძალიან კარგი, თუ არა - არაუშავს, ახლავე ყველაფერს აგიხსნით. ამ ბინგოს პრინციპი არის ის, მე დავსვამ კითხვებს, გუნდებმა კი სწრაფად უნდა იპოვონ პასუხები, ანუ ამ კითხვის შესაბამისი ფინანსური ტერმინი ბინგოს დაფაზე და მონიშნონ. **რომელი გუნდიც პირველი შეაგვსებთ დაფას, ანუ მონიშნავთ ცხრავე ტერმინს, ხმამაღლა უნდა დაიძახოთ „ბინგო“!**

სანამ დავიწყებთ, შეათვალიერეთ თქვენს დაფაზე მოცემული ტერმინები. გაითვალისწინეთ, რომ დაფებზე მოცემული ზოგიერთი ტერმინი ყველა გუნდისთვის ერთნაირია, ზოგიერთი კი - განსხვავებული. შესაბამისად, როდესაც კითხვას დავსვამ, შესაძლოა რომელიმე გუნდის დაფაზე საერთოდ არ იყოს ამ კითხვის შესატყვისი ტერმინი, ამიტომ, ამ თამაშში, ცოდნასთან ერთად, იღბალიც ასრულებს გარკვეულ როლს.

ყურადღება! ახლა მე დავიწყებ კითხვების დასმას, თქვენ კი ჩუმად მონიშნეთ თქვენს დაფაზე ტერმინი, რომელიც გგონიათ, რომ ამ კითხვის პასუხია. ამისთვის 10-10 წამი გეჩვენებათ. **ოღონდ, პასუხი ხმამაღლა არ თქვათ!** ამ ეტაპზე მხოლოდ ვინიშნავთ, ბოლოს კი

ყველა ტერმინს და განმარტებას წავიკითხავთ, რათა დავრწმუნდეთ, სწორად შეავსეთ თუ არა. ასე რომ, შეგიძლიათ ამ ტერმინის შესაბამისი კითხვაც ჩაინიშნოთ სადმე, ან ბინგოს დაფაზევე მიაწეროთ, ან უბრალოდ დაიმახსოვროთ.

➤ *ყველას გახსოვთ წესები? მოკლედ გავიმეოროთ:*

- მე ვსვამ კითხვას.
- გუნდი თანხმდებით და 10 წამის განმავლობაში ნიშნავთ დაფაზე ტერმინს
- არ ამბობთ პასუხს ხმამაღლა!
- იმახსოვრებთ ან ინიშნავთ განმარტებასაც.
- როცა ცხრავე ტერმინს მონიშნავთ, ხმამაღლა დაიძახებთ „ბინგო!“

ვიწყებთ!

ინსტრუქცია:

- სწრაფად წაიკითხეთ კითხვები, ხოლო მას შემდეგ, რაც პირველი გუნდი დაიძახებს ბინგოს, შეაჩერეთ კითხვების დასმა და დაუკარიტ ტაში. პირველ გუნდს ეუბნებით, რომ მართალია, მათ პირველებმა შეავსეს დაფა, მაგრამ არ ვიცით, რამდენად სწორია, ამიტომ დანარჩენს გუნდებსაც ველოდებით.
- დასვით დარჩენილი 3 კითხვაც და მოინიშნეთ მეორე, მესამე და მეოთხე გუნდებიც იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც იტყვიან ბინგოს. (ეს საჭირო გახდება გამარჯვებულის გადასათამაშებლად იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ პირველ გუნდს არასწორად ექნება მონიშნული რომელიმე ტერმინი).
- ამის შემდეგ, კი სთხოვეთ პირველი გუნდის წევრებს, **სათითაოდ წაიკითხოთ მათ დაფაზე მოცემული ტერმინები და საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ კითხვა (განმარტება), რომელსაც ეს ტერმინი შეუსაბამეს.** დანარჩენ გუნდებს კი სთხოვეთ, ყურადღებით მოუსმინონ გუნდს და თავიანთ დაფაზე მოინიშნონ ის ტერმინები, რაც უკვე პირველმა გუნდმა თქვა, ხოლო რა ტერმინებიც განსხვავებული იქნება, ისინი უკვე დანარჩენმა გუნდებმა უნდა განმარტონ რიგრიგობით. გუნდები ერთმანეთს უსმენენ და თუ თვლიან, რომ ტერმინს არ შეესაბამება განმარტება, თავიანთი სიტყვებით უნდა ახსნან სწორი პასუხი.
- დასასრულს, გამარჯვებულად ვაცხადებთ იმ გუნდს, რომელმაც პირველმა და სწორად შეავსო ყველა პასუხი, მაღლობას ვუხდით მოწვევისთვის კლასს და მასწავლებელს და ვემშვიდობებით.

[ლოგიკა: 4 დაფაზე ჯამურად მოცემულია 22 განსხვავებული ტერმინი, აქედან, ყველა დაფისთვის ერთნაირია 4 ტერმინი, 1 ტერმინი ერთნაირია 2 დაფისთვის, 1 ტერმინი ერთნაირია სხვა 2 დაფისთვის, ხოლო დანარჩენი 16 ტერმინი განსხვავებულია და გადანაწილებულია ოთხივე დაფაზე.]

კითხვები მოცემულია იმგვარი თანმიმდევრობით, რომ მეტნაკლებად დაბალანსებული იყოს შემთხვევითობა: რიგრიგობით ამოდის განსხვავებული ტერმინები თითოეული დაფისთვის და ერთნაირი ტერმინები: იხილეთ ცხრილი].

დაფა N1	დაფა N2	დაფა N3	დაფა N4
1. ფული	2. ღარი	3. თეთრი	4. დაზოგვა
5. ღ	5. ღ	6. ფინედუ	6. ფინედუ
8. სურვილი	9. სესხი	10. ბანკი	7. საჭიროება
11. დეპოზიტი	11. დეპოზიტი	11. დეპოზიტი	11. დეპოზიტი
12. ინვესტირება	12. ინვესტირება	12. ინვესტირება	12. ინვესტირება
15. ხარჯი	14. შემოსავალი	13. პროცენტი	16. ბიუჯეტი
17. დაზღვევა	17. დაზღვევა	17. დაზღვევა	17. დაზღვევა
18. ფიშინგი	18. ფიშინგი	18. ფიშინგი	18. ფიშინგი
19. ეროვნული ბანკი	20. კოლოგრამა	21. ანგარიში	22. ბარათი

კითხვები და პასუხები:

1. ვიყენებთ ნივთებისა და მომსახურების საყიდლად, არსებობს ქაღალდის ანუ ბანკნოტების, ლითონის ანუ მონეტების და ელექტრონული სახითაც. **ფული**
2. საქართველოს ეროვნული ვალუტის სახელი. **ლარი**
3. ქართული მონეტების, ანუ ხურდა ფულის სახელი. **თეთრი**
4. ფულის გადადება, შენახვა, შეგროვება სამომავლოდ, რაიმე მიზნებისთვის. **დაზოგვა**
5. საქართველოს ეროვნული ვალუტის, ღარის სიმბოლო. **ღ**
6. ფინანსური განათლების პლატფორმა. **ფინედუ**
7. ის, რაც აუცილებელია ცხოვრების ნორმალური პირობებისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, მაგალითად, საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი და ა.შ. **საჭიროება**
8. ის რაც ცხოვრებისთვის აუცილებელი არ არის, მაგრამ გვინდა და სიხარულს გვანიჭებს, მაგალითად, ვიდეოთამაშები, სასუსნავი, ძვირადღირებული ტანსაცმელი და ა.შ. **სურვილი**
9. ფული, რომელსაც ვალის სახით ვიღებთ, და რომელიც უკან უნდა დავაბრუნოთ წინასწარ შეთანხმებული პირობებით. **სესხი**
10. ორგანიზაცია, რომელიც მოსახლეობის ერთი ნაწილისგან იღებს ფულს დანაზოგების სახით და გაცემს მოსახლეობის სხვა ნაწილზე სესხების სახით. **ბანკი**
11. ფული, რომელსაც დანაზოგის სახით ბანკში ვინახავთ. **დეპოზიტი**
12. ფულის დაბანდება რაიმე საქმიანობაში, მოგების მიღების მიზნით. **ინვესტირება**
13. თანხა, რომელსაც ბანკს ვუხდით სესხით სარგებლობისთვის. **პროცენტი**
14. ფული, რომელსაც გამოვიმუშავებთ, მაგალითად ხელფასის სახით, ბინის გაქირავებით მიღებული ფული, სტიპენდია, ნაჩუქარი ფული და ა.შ. **შემოსავალი**
15. ჩვენი სურვილებისა და საჭიროებებისთვის გადახდილი ფული. **ხარჯი**
16. ცხრილი, რომელიც დროის გარკვეულ პერიოდში, მაგალითად, 1 თვეში, ან 1 კვირაში ჩვენს ყველა შემოსავალს, ხარჯსა და დანაზოგს გვიჩვენებს. **ბიუჯეტი**
17. ფინანსური პროდუქტი, რომელიც მოყენებულ ფინანსურ ზარალს აგინაზღაურებს. **დაზღვევა**
18. ინტერნეტთაღლითობა, როდესაც თაღლითი ცდილობს გადაგვიყვანოს გაყალბებულ ვებგვერდზე და მოტყუებით გაგვამუდგენებინოს ჩვენი პერსონალური მონაცემები. **ფიშინგი**
19. ბანკების ზედამხედველი, ერთადერთი ბანკი, რომელიც ქართულ ფულს უშვებს. **ეროვნული ბანკი**

20. ფულზე დატანილი ერთერთი დამცავი ნიშანი, რომელიც ფულის ნიშნის გადახრა-გადმოხრისას ფერს იცვლის. **ჰოლოგრამა**
21. საბანკო პროდუქტი, რომელზეც შეგვიძლია თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა და კონვერტაცია. **ანგარიში**
22. საბანკო პროდუქტი, რომლითაც შეგვიძლია ჩვენს ანგარიშზე არსებული ფულის განკარგვა - მაგალითად, გადახდა სავაჭრო ობიექტში ან ინტერნეტით, განაღდება. **ბარათი**